სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/184

ქ. თბილისი

22 ივლისი 2019

სტუ-ის დოქტორანტურაში მიღების შესახებ 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2019-2020 სასწავლი წლის პირველი სემესტრიდან გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (იხ.დანართი №1);
3. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;

4. დამტკიცდეს დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებებისა და თანამდევი დოკუმენტაციის შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიები. უცხო ენასთან და დოქტორანტურში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისიების შემადგენლობა (იხ.დანართი №2);
5. ჩარიცხვა დასრულდეს 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**